კონსტრუქციული დასკვნა
ქ.თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, თორნიკე ერისთავის ქ.№1-ში, პურის ქარხნის შესაფუთი ცეხის და პერსონალის სამუშაო სივრცის შენობის სამეზობლოში არსებულ შენობა-ნაგებობებზე ზეგავლენის მოხდენის შესახებ.

1. **შედგენის თარიღი 05.05.2025წ.**
2. **შევადგინე ინსპექტორი/ექსპერტი** : *გადრი გარბაქაძე, ინჟინერ მშენებელი, 50 წლიანი სტაჟი, კონსტრუქტორი.*

3. **ასაშენებელი ობიექტის დასახელება:** *ქ.თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, თორნიკე ერისთავის ქ.№1-ში, პურის ქარხნის შესაფუთი ცეხის და პერსონალის სამუშაო სივრცის შენობის კორექტირებული პროექტი.*

ასაშენებელი ობიექტის აღწერა: *ქ.თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, თორნიკე ერისთავის ქ.№1-ში, პურის ქარხნის შესაფუთი ცეხის და პერსონალის სამუშაო სივრცის კორექტირებული პროექტით აშენებული შენობა შედგება 2 ბლოკისგან, (ძირითადი ბლოკი და ფარდულის შენობა).*

ა). ძირითადი ბლოკი წარმოადგენს მართკუთხა ფორმის 3 სართულიან ნაგებობას გეგმაში გაბარიტული ზომებით ღერძებში 28.0 მ x 15.2 მ. სართულების სიმაღლეა 3.60 მ. შენობის საანგარიშო სქემად მიღებულია ხისტკვანძებიანი მონოლითური რკინაბეტონის კარკასი, სადაც ძირითად მზიდ კონსტრუქციებს წარმოადგენენ მონოლითური საძირკვლები, მონოლითური კოლონები და რიგელებზე დაყრდნობილი მონოლითური გადახურვის ფილები.

გ). ფარდულის შენობა ერთ სართულიანია გეგმაში გაბარიტული ზომებით ღერძებში 10.0 მ x 15.2 მ., გამოყოფილია ძირითადი შენობიდან სეისმიური ნაკერით, სართულის სიმაღლეა 4.5 მ. შენობის საანგარიშო სქემად მიღებულია შერეული სქემა, სადაც ძირითად მზიდ კონსტრუქციებს წარმოადგენენ მონოლითური საძირკვლები, მონოლითური პილონები, სარდაფის პილოებზე დაყრდნობილი გადახურვა, რომელიც გადაწყვეტილია ლითონის კონსტრუქციებში.

კორექტირების პროცესში პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს ცვლილებები არ შეხებია, არ შეცვლილა მზიდი კონსტრუქციების გაბარიტული ზომები და ფოლადის ელემენტების კვეთები, ცვლილებები შეეხო პროექტის არქიტექტურულ და მომიჯნავე ნაწილებს ისე რომ არ გაზრდილა სტატიკური დატვირთვები (კედლებში გამოიჭრა წრიული ღიობები და ჩამონტაჟდა ვენტილატორები).

4. **არსებულლი სიტუაციის აღწერა:** *ამჟამად არსებული მდგომარეობით ასაშენებელი ობიექტის ტერიტორიის მიმდებარედ (უშუალო სამეზობლოში) სხვადასხვა დაშორებებით განლაგებულნი არიან სხვადასხვა გაბარიტული ზომების, სართულიანობის და სხვადასხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობები.*

ა).აღმოსავლეთის მხარეს შენობას ესაზღვრება იგივე საწარმოს მფლობელობაში მყოფი 2 სართულიანი შენობა, რომელიც აშენებულია უფრო ადრე დ გამოყოფილია სეისმიური ნაკერით ზომთ 20 სმ. აღსანიშნავია, რომ საცხობის შენობის პროექტირების პროცესში აღნიშნული სიტუაცია შესწავლილი იქნა როგორც დაფუძნების მხრივ, ასევე სივრცული ანგარიშის პროცესში, გადამოწმებული იქნა

მომიჯნავე შენობის საძირკვლების მზიდუნარიანობა და გამოირიცხა მათზე უარყოფით ზეგავლენის მოხდენა. ამჟამინდელი მდგომარეობით შენობების ვიზუალურმა დათვალიერებამ ცხადყო რომ შენობების კონსტრუქციული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, არ შეინიშნება არასასურველი კონსტრუქციული ბზარები და გადახრები(იხილეთ ფოტომასალა დანართის სახით).

გ). დასავლეთის და ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან შენობას ესაზღვრება 2 სართულიანი საწარმოო ნაგებობები რომლებიც საცხობის შენობიდან მოშორებულნი არიან მინიმალური მანძილით 6.0 მ და 10.5 მ. შენობების ვიზუალურმა დათვალიერებამ ცხადყო რომ მათი კონსტრუქციული მდგომარეობა ასევე დამაკმაყოფილებელია, არ შეინიშნება არასასურველი კონსტრუქციული ბზარები და გადახრები (იხილეთ ფოტომასალა დანართის სახით). საცხობის შენობა სამეზობლოში არსებულ აღნიშნულ შენობ-ნაგებობებთან მოშორებულია სამშენებლო ნორმებისა და წესების („შენობა-ნაგებობების ფუძეები პნ 02.01-08“ დანართი 5) გათვალისწინებულ დაშორებებთან შედარებით მეტი მანძილებით, ამასთან საცხობის შენობის საძირკვლების ჩაღრმავების დონე სცდება სამეზობლოში არსებული შენობების საძირკვლებზე დატვირთვების გადაცემის არეალს, შესაბამისად საცხობის შენობის დატვირთვების უარყოფითი ზეგავლენა აღნიშნული შენობების ტექნიკურ მდგომარეობაზე, მათ სიმტკიცესა და მდგრადობაზე გამორიცხულია.

5. გამოყენებული ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

1. *საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება #1-1/1743 2008წლის 25 აგვისტოს ქ.თბილისში დაპროექტების ნორმების - „სამშენებლო კლიმატოლოგია“;*
2. *საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება #1-1/2284 2009წლის 7 ოქტომბრის ქ.თბილისში სამშენებლო ნორმების და წესების - „სეისმომედეგი მშენებლობა“ (პნ 01,01-09);*

3. QRT/IB-7.1-01 ინსპექტირების პროცედურები.

დ ა ს კ ვ ნ ა

ქ.თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, თორნიკე ერისთავის ქ.№1-ში, პურის ქარხნის შესაფუთი ცეხის და პერსონალის სამუშაო სივრცის კორექტირებული პროექტიით აშენებული შენობის კონსტრუქციული თვალსაზრისით უარყოფითი ზეგავლენა სამეზობლოში არსებულ შენობა-ნაგებობებზე გამორიცხულია.

ექსპერტი - ინჟინერ-კონსტრუქტორი: / ბ.ბარბაქაძე /

ინსპექტირების დაწყების თარიღი 01.05.2025 წ.

ინსპექტირების დამთავრების თარიღი 05.05. 2025 წ.









